გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ხაშურის მოამბე

№31 (2782) 28 დეკემბერი, ორშაბათი, 2020 წელი

მინდა, თითოეულ თქვენგანს გულითადად მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი!

ვისურვებდი, რომ დამდეგი 2021 წელი იყოს დღეგრძელობით, სიკეთით, სიყვარულით და ბედნიერებით დატვირთული წელი.

ახალი წლის მილოცვას დავიწყებ იმ ადამიანებით, რომელთა გაკეთებული საქმეების საძირკველზეც ვდგავართ, ჩემი ბებიების და ბაბუების თაობის ღვაწლმოსილ ადამიანებს ვულოცავ კიდევ ერთი ბედნიერი წლის შემობრძანებას, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხნს სიცოცხლეს.

ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ ჩემი მშობლების თაობის ადამიანებს, რომლებიც ისევ დიდი მომხიბვლელობით, სიდარბაისლით აგრძელებენ ცხოვრებას, მოღვაწეობას და ალამაზებენ ჩვენ ქალაქებს.

მივულოცავ ახალ წელს ჩემი თაობის წარმომადგენლებს, ვუსურვებ ბედნიერებას, წარმატებებს, ბარაქას და მოვუწოდებ გავერთიანდეთ კეთილი საქმეების საკეთებლად, იმისათვის, რომ რეგიონი უფრო მიმზიდველი გავხადოთ ინვესტორებისათვის, უფრო საინტერესო ტურისტული თვალსაზრისითაც.

განსაკუთრებით გამოვყოფ სამედიცინო პერსონალს, ქედს ვიხრი მათი პროფესიონალიზმისა და დაუღალავი შრომის წინაშე პანდემიის პირობებში, ვუსურვებ ამ დიდი შრომის ღირსეულად დაფასებას.

გულითადად ვულოცავ ჩემი შვილების თაობას, ახალგაზრდებს. უსაზღვროა მათი შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, ერთგულება, ენთუზიაზმი და სიყვარული, ვუსურვებ ღირსეულად გამკლავებოდნენ სიხარულსაც და განსაცდელსაც. მათ შორის არიან ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ, რომლებიც დღის და ღამის ნებისმიერ დროს სამშობლოს კეთილდღეობის სადარაჯოზე ამაყად დგნან.

ახალი წლის შემობრძანებას ვულოცავ მოსწავლეთა უზარმაზარ არმიას, ჩვენ მომავალ თაობას, რომელთაც წინ დიადი დღეები ელით. პანდემიამ დროებით შეზღუდა მათი ფანტაზია, მაგრამ ყველაფერი გაივლის და ეს თაობა თავის სათქმელ მართალ სიტყვას იტყვის.

მივულოცავ ახალ წელს სულ პატარებს, რომლებიც, ახლა იწყებენ ცხოვრების გააზრებას და ყველაზე მეტი მოფრთხილება სჭირდებათ, ვუსურვებ მშვიადობიან და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას.

როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე იტყოდა: „ღმერთმა მშვიდობა და მოსვენება მოგცეთ, ხოლო იცოდეთ, რომ ყველაზედ ტკბილი მოსვენება იგია, რომელიც შრომით არის ნასყიდი.“

გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მშვიდობას, დღეგრძელობასა და კეთილდღეობას!

სიყვარულით და პატივისცემით,
ხაალ დუგლაძე, ხაშურის, ქარელისა და გორის სოფლების მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში

უფლის წყალობა არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს!

ძვირფასო თანამოქალაქენო,

გილოცავთ დამდეგ შობას და ახალ 2021 წელს! მშვიდობის, სიხარულის, სიყვარულის, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯანმრთელობის მომტანი ყოფილიყოს 2021 წელი თქვენთვის და თვენი ოჯახებისთვის!

ყოველი ადამიანი ახალი წლის დღესასწაულს განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება - უკეთესობის, მიზნების განხორციელების, სიმშვიდის და ჯანმრთელობის მოლოდინით. გისურვებთ კეთილდღეობას და მშვიდობას თქვენთვის საყვარელ ადამიანებთან ერთად! უფლის წყალობა არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს!

პატივისცემით,

ზვიად ქურდაძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

გამძლეობა, რწმენა და ჯანმრთელობა დაგბედებოდეთ!

ძვირფასო ხაშურელებო,

კიდევ ერთი ურთულესი წელი ჩავაბარეთ წარსულს... წელი, რომელმაც სამყარო საშინელი რეალობის წინაშე დააყენა. წელი, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, გააჩერა ეკონომიკა, ჩაკეტა საზღვრები. ამ ურთულეს ვითარებაში მსოფლიოსთან ერთად აღმოვჩნდით ჩვენც, თუმცა ეპიდემიოლოგთა რჩევების გათვალისწინებით, მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის დახმარებით, მოვახერხეთ პანდემიასთან მინიმალური დანაკარგებით გამკლავება.

მიუხედავად თავისი დრამატიზმისა, გასულ წელს ჰქონდა დადებითი მხარეებიც... ადამიანებმა ისწავლეს ერთმანეთის თანადგომა, სიყვარული, წინ წამოიწია სხვა ფასეულობებმა, რასაც აქამდე ვერ ვამჩნევდით. პანდემიამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ურთიერთთანადგომა, სიკეთე, სიყვარული უცვლელი ღირებულებებია, რომელიც გადაარჩენს კაცობრიობას.

გილოცავთ ახალ 2021 წელს! მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, რწმენა, გამძლეობა. ერთად დავამარცხოთ უხილავი მტერი და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდეთ ახალი შემართებით, იდეებითა და წარმატებებით.

ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი!

პატივისცემით,

მიხეილ ჯანაშვილი ,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ვინ იყო „ქართველი", რომელიც შიშის ზარს სცემდა ტერორისტებს და რომელიც კორონავირუსმა იმსხვერპლა

ორი თვის წინ კორონავირუსმა მსოფლიოს დონის სპეციალისტი შეიწირა. მისი საქმიანობა იმდენად იყო გასაიდუმლოებული, რომ ბოლომდე ოჯახის წევრებმაც კი არ იცოდნენ ქვეყნის წინაშე მისი დამსახურების შესახებ. სურამში დაბადებულმა ავთანდილ წიწუაშვილმა (იგივე იცხაკ ილანმა) უამრავი საიდუმლო წაიყოლა სამუდამო სასუფეველში. იცხაკ ილანის ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო სამშობლოს. ამ შემთხვევაში, ისტორიულ სამშობლოს – ისრაელს. ქართველი ებრაელი ავთანდილ წიწუაშვილი 1956 წელს სურამში, ორთოდოქსი ებრაელების ოჯახში დაიბადა. იგი



გახლდათ რაბინ გაბრიელ დავარაშვილის შვილიშვილი.

ხოლო პაპის ძმა, რაბინი მოშე დავარაშვილი გასული საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო და 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაზეც აქვს ხელი მოწერილი. მეორე პაპის ძმა, იაკობ დავარაშვილი საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინი იყო გასული საუკუნის 60-70-იან წლებში. 1973 წელს, ავთანდილ წიწუაშვილი ოჯახთან ერთად დაუბრუნდა ისტორიულ სამშობლოს -

ისრაელს და თითქმის ორმოცდაათი წელი ემსახურა მის თავდაცვასა და უსაფრთხოებას. 1976-1980 წლებში იგი მსახურობდა ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებში, სადაც ლეიტენანტის წოდება მიიღო. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში ახალგაზრდა ავთანდილ-იცხაკი თავისუფლად ფლობდა ხუთ ენას: ქართულს, რუსულ, ინგლისურს, არაბულსა და ივრითს. ჩემი აზრით, ამ გარემოებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი მის მომავალ ცხოვრებაში.

1982 წელს, უკვე სამოქალაქო ყოფას შეჩვეული იცხაკი მოულოდნელად ისრაელის კონტრდაზვერვის სამსახურში (ანუ "შაბაკში") დაიბარეს და ხანგრძლივი გასაუბრების შემდეგ "საბჭოთა განყოფილებაში" (საბჭოთა კავშირის შპიონაჟის წინააღმდეგ მებრძოლი დანაყოფი) სამსახური შესთავაზეს. აქ მცირე გადახვევას გავაკეთებ, რათა ერთად გავიხსენოთ. ისრაელმა, რომელიც დაარსების პირველ წლებში სოციალისტური ორიენტაციის იყო, სპეცსამსახურების სახეობები და სტრუქტურა საბჭოთა კავშირის ანალოგიურად ააგო. საგარეო დაზვერვა ("მოსადი"), კონტრდაზვერვა ("შაბაკი") და სამხედრო დაზვერვა ("ამანი") ახლად შექმნილი სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარ ინსტრუმენტებად იქცა. მაშინაც და დღესაც ისრაელის სპეცსამსახურები გამოირჩეოდა და გამოირჩევა სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებისგან. იგი არის მცირერიცხოვანი და მაღალი დონის პროფესიონალებით დაკომპლექტებული. ამავე დროს, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ისრაელის სპეცსამსახურების თანამშრომლები სამშობლოს განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას ფანატიკურები სიყვარულით გამოირჩევიან. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს უმძლავრეს სპეცსამსახურებს შორის ებრაელებს ისტორიულად ყველაზე ნაკლები მოღალატე ჰყავთ!

აი, სწორედ ასეთ სტრუქტურაში მიიწვიეს "სურამელი ჭაბუკი", რომელიც 2011 წლის სექტემბრის ჩათვლით ანუ, ფაქტობრივად, ოცდათხუთმეტი წელი, ერთგულად ემსახურა ისრაელის უსაფრთხოებას. ამ პერიოდში მან ურთულესი გზა განვლო: იყო "შაბაკის" საგამოძიებო დეპარტამენტის რიგითი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი, ისრაელის სხვადასხვა რეგიონის კონტრტერორისტული დანაყოფების უფროსი, 2004-2008 წლებში ხელმძღვანელობდა საგამოძიებო დეპარტამენტს, ხოლო 2010-2011 წლებში იყო "შაბაკის" უფროსის მოადგილე. იცხაკ ილანს ერთი ნაბიჯი დააკლდა ისრაელის კონტრდაზვერვის შეფის პოსტის დასაკავებლად. პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნათანიაჰუმ, ქვეყნის შიდა პოლიტიკური ინტრიგების შედეგად სხვა, კერძოდ იორამ კოენის კანდიდატურა ამჯობინა. უნდა ითქვას, რომ იცხაკ ილანი სიცოცხლის ბოლომდე ვერ ივიწყებდა ამ წყენას. თუმცა მისი გარდაცვალების შემდეგ, ნათანიაჰუმ, როგორც ყველგან და ყოველთვის ხდება ხოლმე, თბილი სიტყვები არ დაიშურა იცხაკ ილანის მისამართით.

იცხაკ ილანი იყო დიდი პროფესიონალი: საგამოძიებო ხელოვნების დიდოსტატი და ანტიტერორისტული ოპერაციების უმაღლესი დონის ანალიტიკოსი. ისრაელში მას მეტსახელი "ქართველი" შეარქვეს და როგორც მისი კოლეგები იხსენებენ "ქართველი" შიშის ზარს სცემდა ტერორისტებს. იცხაკ ილანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმატება იყო ისრაელში მოქმედი საბჭოთა ჯაშუშის, შაბთაი კალმანოვიჩის გამოვლენა და გამოტეხვა. იცხაკ ილანი ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებდა, რომ საბჭოთა აგენტის გამოვლენაში მას "სიცრუის დეტექტორი"(იგივე პოლიგრაფი დაეხმარა). ზოგადად იგი დიდად აფასებდა დაკითხვების ამ მეთოდს და მიაჩნდა, რომ "სიცრუის დეტექტორი" არასდროს ცდება, თუ ოპერატორმა სწორად შეარჩია კითხვები.

წლების განმავლობაში იცხაკ ილანი სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდა ისრაელის ტერიტორიაზე მოქმედი ტერორისტების გამოვლენისა და ფიზიკური ლიკვიდაციის ოპერაციების დაგემვასა და რეალიზაციაში. იგი სიცოცხლის ბოლომდე ტერორისტებისა და ექსტრემისტების წინააღმდეგ უმკაცრესი ზომების გამოყენების მომხრე იყო.

თუმცა, ჩემი აზრით, ტერორისტებისა და ექსტრემისტების წინააღმდეგ ამგვარი "ლიკვიდაციის სპეცოპერაციების" განხორციელება (რომლებიც ისრაელმა 1960 წლებში დაიწყო და, ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება) პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის საუკეთესო გზა ნამდვილად არ არის. სპეცსამსახურების ამგვარი მოქმედებები, როგორც წესი, ახალ ტერორისტულ ტალღას წარმოშობს და მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლს იწვევს.

2011 წლის სექტემბრიდან იცხაკ ილანი თადარიგში გავიდა და სხვადასხვა ბიზნესპროექტში ჩაერთო. არ ივიწყებდა საქართველოსაც, სადაც 2013 წელს იყო ჩამოსული და მშობლიურ სურამსაც ეწვია. 2018 წელს იცხაკ ილანს ფილტვების უმძიმესი დაავადების დიაგნოზი დაუსვეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ ფილტვების გადანერგვის ოპერაცია გაუკეთეს. მისი მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა, თუმცა 2020 წლის სექტემბერში კორონავირუსით დაინფიცირდა და ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

წიგნი, რომელიც ყურადღებას იმსახურებს

გამოიცა წიგნი "სამშობლოს მცოდნეობა". ავტორი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ვაჟა შუბითიძე, ნაწარმოები დიდი ინტერესით იკითხება და მეტად საჭირბოროტო საკითხებს ეხება, კერძოდ, ჩვენს სამშობლოს, რომელსაც დაუგროვდა უამრავი პრობლემები და რომელიც მიზანმიმართულად შემოახვიეს ქვეყანას, თუმცა, ყოველივე მეტწილ შემთხვევაში ჩვენი ბედოვლათობით ხდება და ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას.

აღნიშნული წიგნი ერთი ამოსუნთქვით იკითხება და ასეთი პათოსით სამშობლოზე შეყვარებულ ადამიანს, თავის ქვეყანაზე თავდადებულ გულშემატკივარს შეეძლო დაეწერა მხოლოდ.

შეგნებულად თავსმოხვეული საფრთხე, რომელიც გადაგვარებისკენ მიგვაქანებს, თვალისდახუჭვით და წაყრუებით ვერ მოგვარდება, წინა ხელისუფლების მიერ დანგრეულმა და მოშლილმა სტრუქტურებმა საკმარისად დააზიანა ქვეყანა. ათიათასობით ახალგაზრდა ტოვებს ქვეყანას და ათიათასობით ჩვენს მიერ მიტოვებულ და გაყიდულ მიწებზე და ჩვენ, უმცირესობაში დატოვების საფრთხე გვემუქრება.

სასურველია, ყოველმა ქართველმა წაიკითხოს აღნიშნული წიგნი და გააცნობიეროს, თუ რა საფრთხის წინაშე ვდგავართ, მიხვდეს, რა უნდა გააკეთოს თვითეულმა ჩვენთაგანმა, თუ გვინდა ვიყოთ და ვიარსებოთ, როგორც ერმა და ქვეყანამ, გვქონდეს სამშობლო და ღირსეულად ვუპატრონოდ უფლის მიერ ბოძებულ ამ სამოთხეს.

სამშობლოს ბედის და მომავლის გარეშე ჩვენ არაფერს წარმოვადგენთ და ჩვენს ყოფასაც აზრი ეკარგება.

მადლობას ვუხდი ავტორს, რომელმაც მთელი თავისი პრობლემებით აჩვენა ქვეყანა და შეახსენა ადამიანებს თავისი მოვალეობა, რათა დროზე გამოფხიზლდნენ და სწორი არჩევანი გააკეთონ თავიანთ ცხოვრების გზაზე, რათა აწმყოც და მომავალი ხელიდან არ გამოგვეცალოს ჩვენი დაუდევრობით.

გივი გელაშვილი



ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29)

1888 წლის 25 იანვარს გვირაბის აღმოსავლეთის მხარეს, მიწა ჩამოშვავებულა და თოთხმეტი მუშა მოჰყოლია მასში. 29 იანვარს, ამასთან დაკავშირებით, „ივერია” წერდა: „ამ თვის 25-ს სურამის გვირაბში, აღმოსავლეთის მხრივ, კინადამ უბედურება მომხდარა. სადამოს ექვს საათზე გვირაბის პირის სიახლოვეს მიწა და ქვა ჩამოშვავებულა და ამ შვავს იქით თოთხმეტი მუშა მოჰყოლია. ამ შვავის გაწმენდასა და გადაყრას თერთმეტი საათი მოუნდნენ, მაგრამ გაწმინდეს თუ არა, გაიგეს, რომ მუშებს არაფერი დაშავებოდათ, რადგანაც გვირაბში მილი ყოფილა გაყვანილი, საიდანაც ჰაერი შედიოდა და ამიტომ მუშები თავისუფლად ჰსუნთქავდნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასეთი შემთხვევის შედეგად ბევრი მუშა სამუდამოდ ხეიბრდებოდა და საერთოდ ერთმეოდა შესაძლებლობა შემდგომში მუშაობის გაგრძელებისა. მათ უკან კი ოჯახი იდგა.

1888 წლის 14 სექტემბერს, გაზეთი „ივერია” გულისტკივილით აღნიშნავდა: „გვირაბში ბევრი მუშის დამაზიანებელი შემთხვევა ჰხდება, ბევრი იჩეხება, ზოგს მკლავი უტყდება, ზოგს ფეხი, ზოგს ჩამოვარდნილი ქვა თავს დაუშავებს ხოლმე და სხვადასხვა... დაზიანებული სამუდამოდ უვარგისი ჰხდება მუშაობისათვის და სხვისი სარჩენი უნდა შეიქმნეს.”134

მიუხედავად გვირაბის მშენებლობაზე შექმნილი ასეთი სიძნელეებისა, მუშაობა მაინც წარმატებით მიმდინარეობდა. რუსეთის იმპერია და არა მარტო ეს ქვეყანა, დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს გვირაბის მშენებლობას, რაზეც ხშირად ქვეყნდებოდა ხოლმე ინფორმაციები პრესაში. მშენებლობის დაწყებიდან ერთი წლის თავზე, გაზეთი „ივერია” შემდეგს წერდა: „სურამის გვირაბის საქმე კარგადაა და ჩინებულად მიდის. ამჟამად დასავლეთის მხრიდამ ექვსას საჟენზე გამოუთხრიათ უკვე მაღარო და გვირაბი მზად არის კიდეცა. აღმოსავლეთის მხრიდამაც, ხაშურიდამ დაწყებული ბეღლითამდის, დროებით ხიდების კეთება უკვე გაუთავებიათ და ლიანდაგიც სიგრძით ექვს ვერსამდე მზად არის და ორთქლით-მატარებელი დღეში ოთხჯერ-ხუთჯერ მიდის და მოდის ამ გზაზე.”

მომდევნო წლის 13 აპრილს, იგივე გაზეთი იუწყებოდა, რომ სურამის გვირაბის „...თხრა თანდათან წინ მიდის. მართალია, აქამდე ხანდახან დაბრკოლდებოდა ხოლმე თხრა გვირაბისა, მაგრამ ახლა, ამ საქმეს ხელს აღარა უშლის-რა და მუშაობა გაჩაღებულაო.”

სულ მალე შედეგი უკვე სახეზე იყო.

1888 წლის ოქტომბერში, გვირაბის მშენებლები შეერთდნენ. იმდენად დიდი, შეიძლება ითქვას, რომ მეტისმეტი სიზუსტით იყო წარმოებული გვირაბის მშენებლობა, რომ როდესაც ორივე მხარე შეერთდა, გამოირკვა, რომ ჰორიზონტალში მშენებლები ერთმანეთს აცდნენ მხოლოდ 128 მილიმეტრით, ხოლო ვერტიკალში – 43 მილიმეტრით. ეს იმაზე ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე გათვალისწინებული იყო ტექნიკური მონაცემებით.

საოცრად დიდი რეზონანსი ჰქონდა გვირაბის მშენებელთა შეერთების ფაქტს. იმავე წლის ოქტომბერში გვირაბის სანახავად მისი უდიდებულესობა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამეც კი ჩამოვიდა ოჯახით.

იმდროინდელმა პრესამ საკმაოდ ვრცლად და დეტალურად გააშუქა იმპერატორის სტუმრობა, თუმცა მის მიერ მშენებარე გვირაბის მონახულებაზე არაფერია ნათქვამი. გაზეთი „ივერია” რამდენიმეჯერ შეეხო ამ ფაქტს. ჯერ 28 სექტემბრის, ხოლო შემდეგ 15 ოქტომბრის თავის ფურცლებზე საინტერესოდ აღწერდა იმპერატორის სტუმრობას სურამში, ხაშურში, ცხრამუხაში. „მთელმა საბაშიომ,– წერდა „ივერია”– საცა ოცამდე სოფელია და ათასი კომლი მცხოვრებელი, თითქმის ერთი თთვის წინად იცოდა ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორისა და იპერატრიცას აქ მობრძანება. ამიტომ დიდის სიხარულით მოელოდა ყველა იმ დღეს, რა დღესაც იხილავდნენ მოწყალე იმპერატორსა და იმპერატრიცას. ყველა, ყმაწვილი და მოხუცი, შეძლებისდაგვარად, ემზადებოდა, ახალს ტანისამოსს ჰყიდულობდა, რათა სუფდად და სპეტაკად მიჰგებებოდა ძვირფას სტუმართა...

ჰამქრები და სხვა-და-სხვა ხელოსნები საგანგებოდ ამორჩეულს კაცებს ჰგზავნიდნენ ტფილისს დროშების შესაკვეთად და ამნაირად ერთი ჰამქარი მეორეს ეჯიბრებოდა: აბა, ვინ უფრო კარგსა და ლამაზს დროშას დაახატვინებს და მოიტანს ქალაქიდგანო.

წინდაწინ, სანამდინ მათნი უდიდებულესობანი მობრძანდებოდნენ საბაშიოში, სხვა-და-სხვა პოლკის ჯარი მოვიდა და დაბანაკდა მინდვრად, ხაშურის სიახლოვეს, სოფელს ცხრა-მუხასა და ქვიშხეთს შუა, გზატკეცილსა და მტკვარს შორის. ბანაკს თითქმის ორი ოთხ-კუთხიანი ვერსი ეჭირა. რუსთა ჯარს გარდა აქ იყო დაბანაკებული აგრეთვე ქართველი „დრუჯინის” ჯარი. ქართველთ ჯარისკაცთ აქლემის ყელის ჩექმები ეცვათ და შავი ნაბდის რგვალი ქუდები ეხურათ. ქართველთა ჯარი თვალად და ტანად საკმაოდ კარგი შეხედულებისა იყო...

ქვეითის ჯარის გარდა, აქ იდგა ცხენოსანი ჯარიც, რიცხვით ოთხასამდე კაცი. ეს ჯარი, ათ აგვისტოდგან დაწყებული ვიდრე პირველ სექტემბრამდე, ყოველ დღე მოდიოდა, ასე რომ პირველს სექტემბერს, საღამოს ჟამს, ბანაკში ცამეტმა ათასმა ჯარისკაცმა მოიყარა თავი, აფიცრობა კიდევ სხვა იყო.

რიცხვი ამოდენა ჯარისა საკმარისი იყო სურამისა და ხაშურის ვაჭრობის გასაცხოველებლად და გასაძლიერებლად. სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, სურამის არე-მარეში ოცი ათას მანეთზედ მეტი დარჩებოდა ორმოცის დღის განმავლობაში...

მთელი ბანაკი ცხრა ჯგუფად იყო გაყოფილი და დაბანაკებული, რადგანაც ჯარი სხვა-და-სხვა პოლკებისაგან შესდგებოდა. მაგალითად, აქ იმყოფებოდა ჩერნომორისა, პიატიგორსკისა, ბაქოსი, დარუბანდისა და ელისავეტოპოლის პოლკები. აქ იდგა აგრეთვე 12 პატნეზი, ბატარეია ქვეითი ჯარისა 38 და 39 არტილერიის ბრიგადისა და, როგორც ზემოთა ვსთქვით, ცხენოსანი ჯარი და ქართული დრუჟინა. თითო ჯგუფი, თითო პოლკი მრავალი გზა-წვრილებით იყო დაყოფილი, რომლებზედაც გაემწკრივებინათ ფარნები... სასიამოვნო დასანახავია ვაკეში დაბანაკებული ჯარი, მეტადრე მთვარიანს ღამეში, როდესაც ფარნები ანთია კარვებში და ბდღვრიალი გააქვს ურიცხვ ცეცხლებს...

ბანაკში ეკლესია და ცირკია გამართული...

ბანაკის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის კუთხეში პავილიონი არის აშენებული მათ უდიდებულესობათა მოსასვენებლად... შიგ ოთხი ოთახია, ორი დერეფანი და ერთი დიდი დარბაზი... მთელი პავილიონი სადად, ღია ოქროსფრად არის შეღებილი და ამ ფერზედ სხვა-და-სხვა მწვანის მორთულობა მეტად ძრიელ უხდება სახლსა... პავილიონის პირდაპირ, გზის იქით, სამზარეულოა აშენებული. პავილიონი და ეს სამზარეულო, როგორც გავიგე, პოლკის ფულებით არის აშენებული. მათ ასაშენებლად დახარჯულა ჩვიდმეტი ათასი მანეთი.

მოწყობილ-მომზადებული ბანაკი სამს სექტემბერს კავკასიის მთავარმმართებლისაგან იქნა გასინჯული. თხუთმეტს სექტემბერსაც კორპუსის კამანდირმა, გენერალ-ლეიტენანტმა ზ. ჭავჭავაძემ დაათვალიერა და ორჯერ გაშინჯვისა და გამოცდის შემდეგ, ჯარი საკმარისად კარგად გაწვრთნილი აღმოჩნდა, მეტადრე ქართული დრუჟინა, როგორც სთქვეს ბანაკში.

ოც-და-ოთხი სექტემბერია. მთავრობამ საბაშიოს საზოგადოებას გამოუცხადა შემდეგი: „ორშაბათს, ოცდაექვსს სექტემბერს, მათნი უდიდებულესობანი: ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა მემკვიდრეთურთ მობრძანდებიან აქ, ჩვენს ქვეყანაში, ვისაც ნახვა, ხილვა გსურთ ძვირფასი სტუმრებისა, შეგიძლიანთ მოიყაროთ ერთად თავი და დასდგეთ რკინის გზის სადგურებზედ საცქერლად”. ეს ბრძანება ხალხმა დიდის სიამოვნებითა და სიხარულით მოისმინა და წავიდ-წამოვიდა სახლებისაკენ...

სექტემბრის ოცდა-ორიდგან რკინის გზას, სურამის უღელტეხილზედ, საპატიო ყარაული და ჯარი ადგა და ათვალიერებდა ხიდებსა და აქეთ-იქით ადგილებსა.

ხალხი კვირა საღამოსვე მოუახლოვდა რკინის გზის სადგურსა და დაბინავდა გზის ახლო მდებარე სოფელში. ოც-და-ექვსს სექტემბერს, რკინის გზადედ გადასვლა-გადმოსვლა სასტიკად იყო აკრძალული. ამ დღეს, ირიჟრაჟა თუ არა, გაიტენ-გაიჭეჭნა რკინის გზის სადგურები: ბეჟთაუბანი, წიფა, სურამი და ხაშური გაივსო, მოსულის ხალხით. სადგურები ჭრელის ბაირაღებით, მწვანე ჭყორის ფოთლებითა და სუროთი საუცხოოდ არის მორთული და შეზავებული. ამ შეფოთლილ-შემწვანებულს სადგურებს,

აქ მდგომარე მორთულ-მოკაზმულს ხალხს ჰხედავთ და აღარ გინდათ მოაშოროთ თვალი, ისე კარგი იყო ყოველივე ეს: ბეჟთაუბნის სადგურზედ მდგომარე ხალხი ვერ გაბედნიერდა და ვერ იხილა პირი ძვირფასთა სტუმართა. ამისი მიზეზი ის იყო, რომ მათნი უდიდებულესობანი მოსვენებულნი ბრძანდებოდნენ ვაგონებში, რადგანაც სისხამი დილა იყო ისევ, როდესაც მატარებელმა გაიარა სადგური. ხალხი შესწუხდა ხელმწიფის უნახაობის გამო და დაღონებული წავიდ-წამოვიდა აქეთ-იქით...

დანარჩენ სადგურებზედ მდგომარე ხალხს მოლოდინი მოლოდინად არ დაურჩათ: აქ ყველას თვალი გაბედნიერდა უდიდებულესთა სტუმართა დანახვით...

სურამის სადგურზედ ოთხ რიგად იდგა მოსული, მორთულ-მოკაზმული ხალხი. აღმოსავლეთით სადგურისაკენ ებრაელობა იდგა თავიანთის თორით. გადახურულ ბაქანზე დედაკაცობა: ქართველობა და სომხობა შეგროვილიყო. მამაკაცთა წინ მედროშენი, მეზურნე მედაფენი იდგნენ და სასიამოვნო გასაგონს საჭიდაო ზურნას უკრავდნენ მათ უდიდებულესობათა მატარებლის გამოვლის დროს. მატარებელმა აქ თუმცა არ შეისვენა, მაგრამ მეტად ნელ-ნელა გაიარა და ამნაირად გაბედნიერდა ხალხი იმპერატორისა, იმპერატრიცისა და მემკვიდრე ცარევიჩის დანახვით. ხალხი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, „ურას” იძახდა, ვიდრე ძვირფასთა სტუმართა მატარებელი არ გაშორდა, არ მოეფარა სადგურს. ამნაირსავე სიხარულით, ამნაირსავე აღტაცებით დახვდა ხალხი ხაშურის სადგურზედ მათ უდიდებულესობათა. აქედგან მათი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი ცხენით წაბრძანდა ბანაკად. იმპერატორის გვერდით ეტლით იმპერატრიცა მობრძანდებოდა და მათ უდიდებულესობათა შემდეგ-კი მიდიოდა ბრწყინვალე ამალა. მათნი უდიდებულესობანი მიუახლოვდნენ რა ბანაკს, ასტყდა საშინელის სიხარულით „ურას” ძახილი. მათს ხმას მთა და ველი ხელ-ახლად, მეორედ იმეორებდა. მათმა უდიდებულესობამ წინა-პირველად ჯარის დათვალიერება ინება, შემდეგ ამისა კეთილინება და მიიღო ახალციხის, ახალქალაქის და ყარსის დეპუტატები. ამას შემდეგ მათნი უდიდებულესობანი პავილიონში შებრძანდნენ მოსასვენებლად. აქ მათმა უდიდებულესობამ ისაუზმა და საუზმის შემდეგ, პირველის საათის ნახევარზედ, ბორჯომს წაბრძანდა.

ოც-და-შვიდს სექტემბერს მშვენიერი დღე დადამდა: ცაზედ ღრუბელი არ იყო, სიო არ იძროდა და კარგად თბილოდა. ამ დღეს მთვარე ხუთის დღისა იყო, საღამოს შვიდის საათზე საამურად დასცქეროდა, დაჰკაშკაშებდა არე-მარეს და ჩირაღდნებით, სანთლებით, ცეცხლებით გაბრდღვიალებულსა და განათებულს ბანაკსა. გზის პირად ორას ორმოცი ცეცხლი ენთო, რომელზედაც განუწყვეტლივ აყრიდნენ ნავთ-გადასხმულს ხმელს ფიჩხს. ამას გარდა ბანაკში მრავალს სხვა-და-სხვა ფერის შუშხუნებს ისროდნენ, უშვებდნენ მაღლა. ამისთანა ამბავი არასოდეს არ ყოფილა აქეთ. ამიტომ ბანაკს ახლომდებარე სოფლების გლეხობა სახლებითგან გამოსულიყო და უყურებდა ამ იშვიათს სანახავს.

აი, სწორედ ამ დროს დაბრუნდნენ უკან ბორჯომიდგან მათნი უდიდებულესობანი და მათი ბრწყინვალე ამალა. ამ დროს დიდი ურას ძახილი და სიხარული ჰსუფევდა ბანაკში...

ბანაკიდგან მათნი უდიდებულესობანი ამალითურთ ხაშურს წაბრძანდნენ და აქეთგან, რვა საათზე ტფილისს.

ბანაკი ორი-სამი დღის შემდეგ მოიშალა. პოლკები, საიდგანაც მოსულნი იყვნენ, იქითკენ ყოველდღე რიგ-რიგით მიდიოდნენ, ასე რომ რვა ოქტომბერს ბანაკში ერთი კაციც აღარ დარჩა. ბანაკში რაც ფიცრები და ავეჯეულობა იყო, სულ ვაჭრობით გაიყიდა...

დიაღ, დაინგრა ბანაკი, წავიდ-წამოვიდა ჯარი და ვაჭრობაც შესუსტდა სურამის არე-მარეში. იმ ადგილს, მინდორს, სადაც ჯარი იდგა, სახელად ეწოდებოდა „ნახვეტარა”, ეხლა-კი მოინათლა და მიიღო ახალი სახელი „ლაგერი”.

1888 წლის 12 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, „გარჯამა და მეცნიერებამ გაიმარჯვა... ბრწყინვალედ გაერთებულ იქმნა გვირაბით ამერეთი და იმერეთი”–აღნიშნავდა „ივერია”. ამ დღეს გვირაბის შეერთებას ესწრებოდა გზათა მინისტრი ადმირალი პოსიეტი.

13 ოქტომბერს გაზეთი „ივერია” წერდა: „დეპეშით გვაუწყეს, 12-ს ამ თვისას სურამის გვირაბი ერთის მხრიდამ მეორემდე გაითხარა. მთხრელნი აქედან და იქიდან ერთმანეთს შეეყარენ და ამ სახით წინადვე აღნიშნულს დროზე გვირაბის თხრა უკვე დასრულდაო”

კოდევ ორი წელი მიმდინარეობდა გვირაბის მშენებლობა და 1890 წლის აგვისტოში თითქმის ყველაფერი მზად იყო, მხოლოდ მცირე, უმნიშვნელო სამუშაოები იყო მოსამთავრებელი. ამიტომ 30 აგვისტოს დანიშნული გვირაბის კურთხევა 16 სექტემბრისთვის გადაიტანეს.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

[ლეგენდების კვალდაკვალ] რამაზ ხარშილაძე: პარიზი და ნაცარგორა დიდებული ფალავანის კარიერაში

„ტიტულებთან ერთად სპორტმა ბევრი მეგობარი შემძინა და ცხოვრებაში ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ცოტა რამაა. მეტსაც გეტყვით, მე მეგობრებთან ურთიერთობა უფრო სასიამოვნოდ მახსენდება, ვიდრე რომელიმე ტიტული“ – მითხრა ერთხელ დიდებულმა ქართველმა ფალავანმა რამაზ ხარშილაძემ.

არადა, ნახეთ, როგორ ტიტულებზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა ლეგენდარულ ფალავანს მეგობრებთან ურთიერთობა. ის იყო ოლიმპიური თამაშების (1976 წ. მონრეალი) ვიცე–ჩემპიონი, მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი (1975), ევროპის ჩემპიონი (1975, გუნდურ ჩათვლაში) და ევროპის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი (1976, 1980 ინდივიდუალურ ჩათვალში), საბჭოთა კავშირის 4–გზის და ხალხთა სპარტაკიადის 2 გზის ჩემპიონი. ეს ყველაფერი ძიუდოში. სამბოში კი, ორჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახლდათ და ორჯერაც მესამე პრიზიორი.

ჩინებული სპორტსმენი იყო რამაზ ხარშილაძე – არენაზე ბრძოლის შესაშური ჟინით და მეგობრებთან კარგი ურთიერთობით გამორჩეული კაცი.

გურამ პაპიტაშვილი მიყვებოდა ერთხელ: „ძიუდოში საბჭოთა კავშირის ერთ–ერთი ჩემპიონატის დაწყების წინ, შენობაში, სადაც შეჯიბრება უნდა გამართულიყო, დილით ადრე მივედი. მონაწილე გუნდები ჯერ არ ჩანდნენ, ხოლო უშუალოდ დარბაზში რომ შევდგი ფეხი, მხოლოდ რამაზ ხარშილაძე დავინახე. იდგა რამაზი კვარცხლბეკთან და ადგილს, რომელზეც პირველ ადგილზე გასული უნდა დამდგარიყო – მუშტს ურტყამდა და თან ამბობდა: დღეს მე აქ უნდა დავდგე, აი აქ არის ჩემი ადგილი!

ეს იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ხელი არ შემიშლია, არც დავუნახივარ, ისე გამოვედი უკან. ის ჩემპიონატი ხარშილაძემ მართლაც მოიგო, ცხადია კარგადაც იყო მომზადებული, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ უფრო მეტად ამ საოცარი შემართების ხარჯზე გაიმარჯვა რამაზმა“

ბატონ რამაზს პირველად დაახლოებით 10 წლის წინათ, მის მშობლიურ ხაშურის რაიონში ვესტუმრე. მაშინ, პრესაში მასზე ინფორმაციის მოძიებისას, მშრალი სტატისტიკური ჩამონათვალის გარდა ვერაფერი ვნახე (ინტერვიუ ან სტატია), რაც ცხადია არასაკმარისად მიმაჩნდა და ამ ერთგვარი ვაკუუმის ნაწილობრივ მაინც შესავსებად გადავწყვიტე, ვწვეოდი.

ის ინტერვიუ „ლელოში“ დაიბეჭდა. ამის შემდეგ, სამჯერ მისი სახელობის ძიუდოს ტურნირზე ჩავედი ხაშურში. თითქოს განსაკუთრებული არაფერი, ასაკობრივი შეჯიბრება იყო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ძალიან უხაროდა ბატონ რამაზს თავისი სახელობის ტურნირის გაშუქება. ჩანდა, რომ საზოგადოების ყურადღება აკლდა და თავისი სახელობის შეჯიბრებით ერთგვარად იქარვებდა ნაღველს. დიდი და საამაყო სპორტსმენი ბევრი გვყავს, ოღონდ მაინც რაღაცნაირი ახირება ვიცით – დავტრიალებთ ძირითადად ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონებს, ვატრიალებთ მათზე დაწერილ ერთი და იმავე ამბებს ათჯერ და ასჯერ, ხოლო იქვე, მათ გვერდით ისეთ სპორტსმენები გვავიწყდება, რომლებსაც შესაძლოა სულ ცოტა დააკლდათ სანუკვარ, ხმაურიან გამარჯვებამდე, მაგრამ ძალიან მაგრები იყვნენ, გულშემატკივრების სიყვარული და პატივისცემაც არ აკლდათ და ამიტომ უფრო მეტი ყურადღების ღირსნი არიან.

ხარშილაძე ხაშურის რაიონის სოფელ ნაცარგორაში დაიბადა 1951 წლის 16 იანვარს. ისიც, ისევე როგორც მეტადრე მაშინდელი თაობის ძიუდოისტები, სპორტის ამ სახეობაში ქართული ჭიდაობიდან მოვიდა. ნახერხმოყრილ სარბიელზე რომ გამოჩნდა პატარა რამაზის საოცარი ჟინი, შემართება და რაც მთავარია პერსპექტივა, ჯერ რაიონულ ცენტრში გადაიყვანეს სავარჯიშოდ, ხოლო იქიდან დედაქალაქში.

„ყველა მწვრთნელის მადლიერი ვარ, ვინც ჩემს დაოსტატებაში თავისი წვლილი შეიტანა. ხაშურში უშანგი ბარბაქაძე მავარჯიშებდა, თბილისში გადასვლის მერე შოთა ზუკაკიშვილი და საქართველოს ნაკრებში რომ მოვხვდი ჩემი პირადი მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი გახდა. არ მინდა დავივიწყო საკავშირო ნაკრებში ჩვენი მწვრთნელი ვლადიმერ ანდრეევიც, რომლისაც ასევე დიდად მადლიერი ვარ“ – გვითხრა მაშინ ბატონმა რამაზმა.

ქართული ჭიდაობით დაიწყო, შედეგიანად გამოდიოდა სამბოში და როდესაც ძიუდო შემოვიდა საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოშიც – რამაზი უკვე ორივე სახეობაში აღწევდა წარმატებებს. 1970 წელს საკავშირო სპორტკომიტეტმა მოიწვია ორივე სახეობის მწვრთნელები, წამყვანი სპორტსმენები და გადაანაწილა რომელს სად უნდა ეასპარეზა. ხარშილაძე ძიუდოს ნაკრებში დატოვეს.

ძიუდოში თავდაპირველად 80 კგ–ში გამოდიოდა, ხოლო შემდეგ 93 კგ–ში გადავიდა. ისე ჭიდაობდა, ვერავინ იტყოდა, რამე დააკლო გამარჯვებსიათვის ბრძოლასო. გულშემატკივრები ხაზს მისი ბრძოლის ჟინს უსვამდნენ და აქტიურადაც ქომაგობდნენ. ამიტომ, რამაზი საკუთარი გულშემატკივარის თვალწინ მუდამ გამორჩეული შემართებით ჭიდაობდა – ცდილობდა ყველასთვის ეჩვენებინა, რომ მათ გასახარებლად არაფერს იშურებდა.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი პირველად 1973 წელს მოიგო. ეს შეჯიბრება მაშინ ძალიან მაღალი დონის იყო. კონკრეტულად იმ წელიწადს კი მხოლოდ გამარჯვებულების ჩამოთვლა ნათელს ხდის ტურნირის დონეს: შენგელი ფიცხელაური (63 კგ), ვლადიმერ ნევზოროვი (70 კგ), რამაზ ხარშილაძე (80 კგ), შოთა ჩოჩიშვილი (93 კგ), ტაგაკი (+93 კგ) და სუმიო ენდო (აბსოლუტური) გახდნენ 1973 წელს თბილისის ტურნირის ჩემპიონები. იგივე შეჯიბრება ბოლოს 8 წლის შემდეგ ისევ მოიგო და სპორტიდანაც წავიდა.

ყველაზე მაღალი მწვერვალი, რომელზეც რამაზ ხარშილაძეს მართლაც ერთი ნაბიჯი დააკლდა – 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადის კვარცხლბეკი იყო. მონრეალში ჩვენი ფალავანი 93 კგ–ში გამოდიოდა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

„მონრეალის ოლიმპიადას კარგ ფორმაში შევხვდი. – იხსენებდა ბატონი რამაზი. – ორი მეტოქე მეოთხედფინალამდე დავამარცხე. მეოთხედფინალში კი მახსოვს სენეგალელი აბდულა ჯიბა შემხვდა, მეორე ოლიმპიადას ჭიდაობდა, ოღონდ ისე მოვუგე გამარჯვების მცირეოდენი შანსიც არ მიმიცია. ტატამიდან გასვლის მერე დავინახე რომ ჯიბას ვიღაც შეეგება, როემლიც ბავშვივით ტიროდა. მერე გავიგე, თურმე მამამისი ყოფილა, ძიუდო ძალიან ჰყვარებია და აბდულას მოსამზადებელად არ დაუშურებია ფინანსები. დაჰყავდა, თურმე შეკრებებზე იაპონიაში, საფრანგეთში, გერმანიაში. დიდი იმედი ჰქონდა რომ ოლიმპიურ მედალს აიღებდა, თუმცა მთელი შრომა წყალში ჩაეყარა. ნახევარფინალში შევხდი ბრიტანელ დევიდ სტარბრუკს, რომელიც 1972 წლის ოლიმპიადაზე შოთა ჩოჩიშვილმა დაამარცხა და ჩემპიონობაც მოიპოვა. სტარბრუკი მე, ანუ კიდევ ერთმა ქართველმა ახლა უკვე ფინალამდეც არ მივუშვი, დევიდი საბოლოოდ ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. მე ფინალში გავედი, ოღონდ იქ ეს ჩემი მაქსიმუმი აღმოჩნდა. მოწინააღმდეგე იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონი კაზუჰირო ნინომია იყო, რომელმაც რა დასამალია – მაჯობა და ჩემპიონის ტიტულიც დაიმსახურა“



ნინომია იშვიათი იყო მათ შორის ვისთანაც ხარშილაძეს წაუგია. მას არაერთი ტიტულოვანი, აღიარებული ძიუდოისტი ჰყავს დამარცხებული.

„ყველაზე საამაყო ანჯელო პარიზისთან გამარჯვება მახსენდება. ფრანგი ყველაზე ტიტულოვანიც იყო იმათ შორის, ვისთანაც მომიგია. მას ოლიმპიური თამაშების 4 მედალი აქვს აღებული, მათ შორის ოქროსი (1980 წ), ევროპის ჩემპიონატზე კი ოთხჯერ მხოლოდ ოქროს მედალი ჰქონდა მოპოვებული. მასში იყო ფიზიკური ძალის, ტექნიკის და სილაღის საოცარი ნაზავი. საოცრად ჭიდაობდა, აღაფრთოვანებდა გულშემატკივარს, მაგრამ მე დამაჯერებელი გამარჯვება მოვიპოვე პარიზისთან“ – თქვა ბატონმა რამაზმა.

თუმცა ძლიერი მოწინააღმდეგეები შიდა სანაკრებო კონკურენციაშიც ჰყავდა ხარშილაძეს და მათგან თემურ ხუბულური გვინდა გამოვარჩიოთ.

„თქვენ და თემურ ხუბულურს დიდი კონკურენცია გქონდათ საკავშირო ნაკრებში, როგორი იყო თქვენი ურთიერთობა, არენის მიღმა“ – დავინტერესდი მე, რადგან ეს ორი გამორჩეულად ძლიერი ფალავანის ჭიდილი იყო მაშინდელ ქართულ და, საზოგადოდ, საბჭოთა ძიუდოში თვალსაჩინო კონკურენცია.

„თემური ჩემზე 4 წლით უმცროსია. მე უფრო ადრე მოვედი სპორტში და ვიდრე ჩვენს შორის უშუალო კონკურენცია დაიწყებოდა, უკვე მქონდა წარმატებები მოპოვებული. მერე, ხუბულურმა არაერთი დიდი გამარჯვება მოიპოვა. გახდა ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი, თუმცა ერთხელ, სსრკ ჩემპიონატის ფინალში მაინც რომ ვძლიე, გადამეხვია და მითხრა: „ყველას მოვუგე რამაზ და შენ ვერაფერი მოგიხერხეო“. მძაფრი კონკურენციის მიუხედავად ჩვენ მაინც სამაგალითო მეგობრებად დავრჩით“ – თქვა რამაზ ხარშილაძემ.

აქტიური სპორტიდან 30 წლის წავიდა ხარშილაძე, მაგრამ ამბობდნენ, რომ ჯერაც შეეძლო სიმაღლეების დაპყრობა. ამიტომ, წასვლის მიზეზიც ვიკითხე.

„სპორტს ადრე და თანაც განაწყენებულმა დავანებე თავი. მიმაჩნია, რომ ძალიან მიმუხთლეს, როდესაც მოსკოვის ოლიმპიადაზე არ დამაყენეს ნაკრებში. მომდევნო წელს, 1981 წლის თბილისის საერთაშორისო ტურნირზე პირადადაც მოვიწვიე ჩემი უშუალო კონკურენტები თბილისში საჭიდაოდ, მინდოდა კიდევ ერთხელ დამემტკიცებინა ჩემი შესაძლებლობები. გავედი ტატამზე და კიდევ ერთხელ გავიმარჯვე. მერე გავიხადე კიმანო და გამოვაცხადე წავედი – მეოქი სპორტიდან. გამომეკიდა ბიძინა მაზიაშვილი. „რამ გადაგრიაო“ – მეძახდა, მაგრამ მე გადაწყვეტილების შეცვლას აღარ ვაპირებდი“

სპორტიდან 1981 წელს წავიდა, წუთისოფელი კი 2017 წელს დატოვა ამ შესანიშნავმა ფალავანმა და კარგმა ადამიანმა – რამაზ ხარშილაძემ.

ასტროლოგია

რას მოგვიტანს ხარის წელი და ვისი მფარველი იქნება თეთრი მეტალის ხარი - „გლობალური ცვლილებები, მშენებლობა, პირადი ბიზნესის დაწყება, დაწყვილება“

დინამიკური წელი გველოდება, მოულოდნელობა მოიმატებს, მაგრამ დისციპლინირებულობისა და პრაქტიკულობის გავლენით ხარის წელში ფინანსურ სფეროში თავს მეტად სტაბილურად იგრძნობთ. მოერიდეთ ავანტიურას,დაგეგმეთ ყველაფერი გულდასმით. განსაკუთრებით,თუ მცირე ბიზნესის წარმომადგენელი ხართ. შეიძლება ცოტა მეტი დრო დაგჭირდეთ,მაგრამ სასურველს აუცილებლად მიაღწევთ. მოერიდეთ ზედმეტ ამბიციურობას.

იყავით მიზანმიმართული, ნუ შეუშინდებით სირთულეებს. მოთმინებით აღიჭურვეთ და ნაბიჯ-ნაბიჯ და თავდაჯერებულად მიუახლოვდებით სასურველს. ზოგიერთმა შეიძლება საკუთარ თავში ახალ-ახალი ნიჭი აღმოაჩინოს.

2021 წელს ნუ ელოდებით,რომ ფული ციდან ჩამოგეყრებათ,ნურც ილუზიების განხორციელება მოგინდებათ. იყავით პრაქტიკული, ყველა სფეროში. გამოიყენეთ ის ცოდნა, რაც წლების განმავლობაში გაქვთ დაგროვილი. “აუჩქარებლად და ზედმეტი ნერვების მოშლის გარეშე” - აი, ეს ფრაზა გაიხადეთ წლის დევიზი და ასევე იმოქმედეთ. იყავით საკუთარი თავისა და ტრადიციების ერთგული, რათა არ შეილახოთ ის ავტორიტეტი, რაც უკვე გაქვთ საზოგადოებაში.

ჩინურ ასტროლოგიაში ხარი სამართლიანობის ინტუიციის, შრომისა და ნაყოფიერების სიმბოლოა. მისთვის სულიერება და გონება უფრო მნიშვნელოვანია,

ვიდრე ილუზიები და ღრუბლებში ფრენა. სტრატეგიულად უნდა იმოქმედოთ; სწრაფად უნდა შეძლოთ სიახლეებში ადაპტირება. რთული სიტუაციები მოსალოდნელია, მაგრამ შინაგან და გარეგან კრიზისებს ნუ ელით.

თეთრი მეტალის ხარის პერიოდში უნდა აკონტროლოთ ქმედებაც და ემოციებიც. არ გამოავლინოთ აგრესია. სოციალურ ცხოვრებაში იყავით თავშეკავებული. ყურადღება უნდა გამოვლინოთ სამყაროს მიმართ. ძაღლის, ვეფხვისა და ცხენის წლებში დაბადებულებმა უნდა დაამარცხოთ თქვენი უარყოფითი მხარეები. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტებს ვერ გაუმკლავდებით.

კატას (კურდღელი), თხასა (ცხვარი) და ტახს (ღორი) მეტად მართებთ შემოქმედებითი იდეების განხორციელება. მეტად გამოავლინეთ თქვენი ნიჭი. აზარტით ჩაერთეთ ორიგინალური პროექტების განხორციელებაში. თუმცა, სწრაფ შედეგებს და მატერიალურ კეთილდღეობას ნუ ელით.

ნუ იქნებით ზედმეტად კონსერვატიული. ნუ შეეწინააღმდეგებით სიახლეებს, იყავით ლოიარული და ხშირად დათმეთ. ზაფხულის დადგომისთანავე მოიმატებს კარიერისკენ სწრაფვის სურვილი. გაგიმარტივდებათ გარშემო მყოფებთან

საერთო ენის გამონახვა. საჭირო ადამიანებთან დამეგობრება.

ხარის წელი 2021 წლის 12 თებერვალს შემოგრძანდება. ამ პერიოდიდან ადამიანებში მოიმატებს „რკინისებური“ ხასიათი, მეტად ძლიერად და მამაცად იგრძნობთ თავს. წლის ფერია თეთრი. რაც სიბრძნის, ცივსისხლიანობისა

და დიდსულოვნების სიმბოლოა. ჩინური კალენდრის მიხედვით 2021 წლის სტიქიებად რკინა და მიწაა მიჩნეული. ხარის წელში დაბადებული ადამიანები კი მეტად ავლენენ თავშეკავებულობას, მტკიცე ხასიათსა და სიჯიუტეს. ორი სტიქიის გავლენით, წელი ნაყოფიერებასა და კეთილდღეობას მოგვიტანს. დასტაბილურდება ფინანსური სფერო და რომანტიკული ურთიერთობა პარტნიორებს შორის. ადამიანები გულღიად დაიწყებენ თავიანთი გრძნობების გამოხატვას. ხარის წელში, გირჩევთ, გააუმჯობესოთ დამოკიდებულება ხარის წელში დაბადებულებთან. ამით წლის მმართველის კეთილგანწყობას დაიმსახურებთ.

რა თვისებებით გამოირჩევა 2021 წლის მმართველი?

ხარი პატიოსანი და სამართლიანია, კეთილშობილი და მიზანმიმართული. არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე და მიზნამიმართული. ის ვერ იტანს უხეშობას, შტერ და ლაქლაქა ადამიანებს. კონსერვატიულია, უყვარს კეთილი საქმეების კეთება, ადამიანების დახმარება. ის, ვისაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს და უსაფუძვლოდ ამბიციურია, უფრთხილდეს წლის მმართველს.

2021 წლის გლობალური და მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. მშენებლობა, პირადი ბიზნესის დაწყება, დაწყვილება - ეს ყველაფერი წელს უნდა მოასწოროთ. განსაკუთრებით, თუ წინა წლებში კაპიტალი და ენერგია ჩადეთ მათში.

ხარი მუდამ თავისი პრინციპების ერთგულია. ფრთხილი, აღიარებს ტრადიციებს. შეუძლია და კარგადაც გამოსდის ფიზიკური შრომა. ხარი იდეალური მეოჯახეა - ერთგული მეუღლე და მზრუნველი მშობელი. ერთადერთი, გირჩევთ, არ გამოცადოთ ხარი მოთმინებაზე, მის მძვინავრებას მთელი ძალით შეიგრძნობთ.

2021 წლის ზოგადი დახასიათება

სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში მოსალოდნელია პერიოდული აგრესიული გამოხდომები; კონსერვატიზმის გამოვლენა. ხელისუფლების ავტორიტარიზმი ხელს შეუშლის დემოკრატიული იდეების განვითარებას. ხალხის სურვილების უგულებელყოფა და თავვისუფლების შეზღუდვა ხარის წელში ნორმად იქცევა. თუმცა, სერიოზული კონფლიქტები და ომები მოსალოდნელი არაა.

კარგი იქნება, თუ ხარის წელში ფერმერობას, მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას დაიწყებთ. ტექნოლოგიური განვითარებისა და აღმოჩენების გამოყენებით კარგ შედეგებს მიიღებთ.

თითოეულ ადამიანს გაუჩნდება სურვილი, აღადგინოს ოჯახური ტრადიციები, შეისწავლოს გვარის ისტორია, გააუმჯობესოს დემოგრაფიული მდგომარეობა. ღირებული გახდება კულტურული ცხოვრება. ადამიანები, რომლებიც შემოქმედებით სფეროში მოღვაწეობენ, ხელსაქმეს მისდევენ, წარმატება, მატერიალური კეთილდღეობა და დაფასება ელით. ზოგიერთი ფანტასტიკური იდეების განხორციელებასაც კი შეძლებს. შანსი მოგეცემათ, მოძებნოთ თქვენთვის შესაფერისი სამსახური და მიიღოთ სიამოვნება მისი შესრულებით.

გაუმართლებს ყველას, ვინც შენებაზე და არა დანგრევაზეა ორიენტირებული. იყავით ორიენტირებული, მზად ფიზიკური შრომისთვის. მოიძიეთ განვითარების გზები, გააუმჯობესეთ არსებული კავშირები. უმჯობესია, საკუთარი თავის იმედი გქონდეთ, ასე უფრო მიაღწევთ მიზნებს, ვიდრე სხვას ელოდოთ. გაუმართლებთ მიზანმიმართულ და ბეჯით ადამიანებს.

ხარი დაგეხმარებათ, თუ გსურთ, თქვენი საქმე წამოიწყოთ. კარიერული მიღწევა ნებადართულია, მაგრამ სხვებს ნუ გაწირავთ თქვენი კეთილდღეობისთვის. ხარი ამას არ გაპატიებთ. კონკურენტებთან ბრძოლისას დაკვირვებული უნდა იყოთ. იაქტიურეთ იმ საქმეში წარმატების მისაღწევად, სადაც ფული გაქვთ დაბანდებული.

2021 წელს დაბადებული ბავშვები კარგი ჯანმრთელობით, ოპტიმისტური განწყობითა და თავდაჯერებულობით გამოირჩევიან. თუ ფეხმძიმობის დაგეგმვას აპირებთ, ეცადეთ, თქვენი პატარა შემოდგომაზე ან წლის ბოლოსთვის დაიბადოს. ასეთი მონაცემებით ის სტაბილური იქნება საყოფაცხოვრებო და მატერიალურ სფეროებში. ბავშვი მორალურადაც და ფიზიკურადაც ძლიერი გაიზრდება. მთავარია, სრულფასოვანი კვება არ მოაკლოთ და არც მის განვითარებაზე დაგენანოთ ფული. სხვათა შორის, ხარის წელში დაბადებულ ადამიანებს ცხოვრებაში ხშირად უმართლებთ.

- ფეხბურთი-

ხაშურის ქალთა გუნდი“მასტერ-ლიგის” აღმოსავლეთ ზონის ჩემპიონია

ფეხბურთში, ხაშურის ქალთა გუნდის წარმატებებს კარგა ხანია შევეჩვიეთ და არაფერია იმაში გასაკვირი, რომ ამ გუნდს დღეს უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. თემურ კობერიძე, ყოფილი დიდებული ფეხბურთელი და დღეს ამ გუნდის მწვრთნელი, წლებია აგურ-აგურ აშენებს ამ გუნდს და სწორედ მისი დამსახურებაა,რომ საქართველოს საფეხბურთო რუკაზე, ქალთა შორის, ხაშურს მუდამ მოწინავე ადგილი უკავია. და აი, მორიგი მიღწევაც: ახლახანს, დასრულდა “მასტერ-ლიგის”გათამაშება აღმოსავლეთ გუნდებს შორის. სხვათა შორის, გათამაშებამ საერთაშორისო ხასიათიც შეიძინა, რადგან მასში ირანის გუნდიც მონაწილეობდა. დასკვნით ეტაპზე 6 გუნდი ჩაება პირველობისათვის ბრძოლაში. ჩვენმა გოგონებმა ჯერ სოხუმის გუნდი გაანადგურეს-8:1, შემდეგ კი ახალციხელები გაუყენეს მათ გზას-5:1. ფინალში მათ წინააღმდეგ თბილისის “ავაზა” იბრძოდა, მაგრამ ჩვენი გოგონების შემართებას და ოსტატობას ვერც ეს გუნდი დაუდგა წინ და “ივერია” ამ გათამაშების აღმოსავლეთ ზონის ჩემპიონი გახდა (5:3). აღსანიშნავია, რომ ჩვენი გუნდის ლიდერი ირმა ლომიძე გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. ცალკეულ შეხვედრებში კი ნინო ბუხრიკიძე და ელენე ენჯიბაძე ცნეს საუკეთესოდ.

ამ დღეებში, ჩვენი გოგონები ფინალურ შეხვედრას გამართავენ დასავლეთ ზონის ჩემპიონთან-თერჯოლის ქალთა გუნდთან და შეხვედრა “მასტერ-ლიგის” ჩემპიონს გამოავლენს. იმედია, “ივერია” კვლავ გააგრძელებს წარმატებულ ასპარეზობას და “მასტერ-ლიგას” წელს მათი სახით ახალი ჩემპიონი ეყოლება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები დააჯილდოვა

ფულადი ჯილდოები გადაეცათ:

საქართველოს ჩემპიონს ქართულ ჭიდაობაში გიორგი ქიტიაშვილს , მწვრთნელს- მალხაზ ნოზაძეს.

საქართველოს ჩემპიონს ძიუდოში, ლაშა ჩადუნელს, მწვრთნელს- ბეგლარ ხარშილაძეს.

საქართველოს ჩემპიონებს თავისუფალ ჭიდაობაში გიორგი ნოზაძეს, ლაშა ლომიძეს, მწვრთნელებს-გიორგი კვინიკაძეს, ვახტანგ კვინიკაძეს.

ევროპის ჩემპიონს ახალგაზრდებში, თელავივის გრანპრის და ევროპის მე-3 პრიზიორს-ლუკა მაისურაძეს, მწვრთნელს- ბეგლარ ხარშილაძეს.

ევროპის ჩემპიონს რაგბში გურამ გოგიჩაშვილს, მწვრთნელს-დავით სტეფანოვს.

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელებს: ბეგლარ ხარშილაძეს, ბუხუტი ბუხრიკიძეს, ვახტანგ კვინიკაძეს და გიორგი კვინიკაძეს.

დაჯილდოების ორგანიზატორები იყვნენ მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსხური, ხაშურის სასპორტო სკოლა.

D განცხადება
შევისყიდი კაკლის ხეს, ფასი შეთანხმებით.
ტელ: 551 16 19 84 დავით ჩადუნელი

D ირაკლი ჯიქურაშვილის ხსოვნას

ძალიან ძნელია, მეგობარი, რომელთანაც უამრავი სიხარული და ბედნიერი წლები გაკავშირებს, წარსულში მოიხსენიო. დიდი ტკივილია, როდესაც ასეთი კაცი გტოვებს და მხოლოდ მოგონებებს გიტოვებს სანუგეშებლად, მით უფრო, რომ ეს ნუგეშიც რაღაც ზედაპირულია და ყოველ წამს გრძნობ, რომ უამისოდ დარჩენილი სიცარიელის შევსება შეუძლებელია.

ხაშურზე უზომოდ შეყვარებული კაცი დაკარგა ჩვენმა ქალაქმა, კაცი, რომლისთვისაც ამ ქალაქის აღმშენებლობა ცხოვრების მიზანი და კრედო იყო და სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა ამ მიზანს.

სრულიად ახალგაზრდამ ჩაიბარა რაიონის ხელმძღვანელის პოსტი. ბევრი სკეპტიკურადაც კი უყურებდა მის დანიშვნას, მაგრამ სულ მალე ყველა დარწმუნდა, რომ რაიონი საუკეთესო მეურვეს ჩაბარდა. რაც მისი ხელმძღვანელობით გასული საუკუნის 80-იან წლებში ხდებოდა ჩვენს რაიონში. სწორედ აღმშენებლობა და აღორძინება ჰქვია. ეკონომიკურად წელში გამართული რაიონი მუდამ მოწინავე იყო და პირველობას დიდ ქალაქებსაც ეცილებოდა. სხვა მშენებლობებს რომ თავი დავანებოთ(საცხოვრებელი ბინები, საბავშვო ბაღები, სასპორტო მოედნები, კულტურის დაწესებულებები...), მისი შემოქმედების მწვერვალი ზემო სერის დასასვენებელი პარკი იყო, სადაც მთელ მაშინდელ საბჭოთა სივრცეში რიგით მეორე საბავშვო რკინიგზა ფუნქციონირებდა. 90-იანი წლების საშინელმა მოვლენებმა შეიწირა ეს პარკი და მასზე ტკივილი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა ირაკლის.

უდიდესი გულშემატკივარი დაკარგა ჩვენმა ქალაქმა. კაცი,რომლისნაირებზეც უნდა იდგეს დღევანდელობაც და ქალაქის ხვალინდელი დღეც. მისი ცოდნა, ერუდიცია და გამოცდილება მართლაც უმაღლესი იყო და რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთი პიროვნებები გვაკლდებიან. იგი მთელი შეგნებული ცხოვრება პეშვი-პეშვ აგროვებდა სიკეთეს და შემდეგ უშურველად გასცემდა. სწორედ ამიტომაც, ჩვენ, მისი მეგობრები, ოჯახთან ერთად, მთელ რაიონს და მთელ ქალაქს ვუსამძიმრებთ ამ ტრაგედიას და მეოხად ვუდგებით უფალს, რომ მის ლამაზ სულს სანთელ-ნათელი არ მოაკლდეს მარადიულობის სავანეში.

მალხაზ ჭყოიძე, გივი ხვედელიძე, იზო პაქსაშვილი, რობერტ სუხიაშვილი, ჯემალ გელაშვილი, თენგიზ გაგნიძე, შიო ქიტიაშვილი, იური მელიქიძე.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.